დავინახე, რომ ანანო სკოლიდან თავის მეგობრებთან, ელენესთან და ნინისთან ერთად გადიოდა. თითქმის მოვიკრიბე გამბედაობა, რომ ანანოსთან მივსულიყავი და გამოვლაპარაკებოდი, მაგრამ ბოლო წამს ძალიან შემრცხვა და გადავიფიქრე. თანაც, ელენეს, მის საუკეთესო მეგობარს, ძალიან არ მოვწონვარ, და თუ მათთან მივიდოდი, ალბათ დამცინებდა. ელენე დიდად გულზე არც მე მეხატება. გიომ და დათამ შეამჩნიეს, რომ ანანოს ვუყურებდი და დამცინეს. გიოს და დათას ვუთხარი, რომ ანანოს კი არ ვუყურებდი, არამედ ანანოს უკან მდგომ მოტოციკლს. მათ, რა თქმა უნდა, არ დამიჯერეს. მე პომიდორივით გავწითლდი. როდესაც სახლში დავბრუნდი, აღმოჩნდა, რომ სტუმრად ჩემი დეიდაშვილები მოსულიყვნენ. დედამ მთხოვა, მაღაზიაში გავსულიყავი და ორცხობილები მეყიდა. მე რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სუპერმარკეტ „პოპში“ შევირბინე და შოკოლადის ორცხობილები ვიყიდე.

სახლში რომ ვბრუნდებოდი, სასუსნავების მაღაზიაში ანანო დავინახე. ის მარტო იყო! როგორც კი შევედი, ანანო მოტრიალდა და მაღაზიიდან გავიდა. ვერც კი დამინახა! დახლთან მდგომმა გამყიდველმა გაბრაზებული სახით მკითხა, რისი შეძენა მსურდა. სანამ რაიმეს მოვიფიქრებდი, მარწყვის ნაყინი შევუკვეთე, რომელშიც 3 ლარი გადავიხადე. სინამდვილეში საერთოდაც არ მინდოდა ნაყინი! უბრალოდ, ძალიან დავიბენი და ნაჩქარევი გადაწყვეტილება მივიღე. გამყიდველი უფრო გაღიზიანდა, როდესაც ვუთხარი, რომ ბარათით მინდოდა გადახდა, მაგრამ რა მექნა, ნაღდი ფული არ მქონდა.

სასუსნავების მაღაზიიდან რომ გამოვედი, გიო შემხვდა. ვკითხე, სად მიდიოდა. გიომ მიპასუხა, რომ თმის შესაჭრელად მიდიოდა. უცებ გამახსენდა, რომ 15 იანვარს სასკოლო წვეულება გვაქვს! საერთოდ დამვიწყებია! უცებ გონება გამინათდა: ჩემ ირგვლივ ქუჩა მოვათვალიერე, და კუთხეში მაღაზია „ტიტა“ შევამჩნიე. სასწრაფოდ შევვარდი მაღაზიაში, გვირილების თაიგული ვიყიდე, და ანანოს გავუგზავნე, რაც 5 ლარი დამიჯდა. თაიგულს ბარათიც დავურთე, რომელსაც დავაწერე: „იმედია, შაბათს წვეულებაზე გნახავ. იდუმალი თაყვანისმცემელი“. ყვავილების გაგზავნის შემდეგ გადავწყვიტე შაბათის წვეულებისთვის ბანკომატიდან ფულის გამოტანა – შეიძლება, იქ ანანოსთვის ლიმონათის ყიდვა დამჭირდეს – და ბანკომატისკენ გავეშურე. ვინაიდან ეს „პირველი ბანკის“ ერთადერთი ბანკომატია მთელს ქუჩაზე, მასთან ხშირად დიდი რიგებია; თუმცა, დღეს გამიმართლა, და ადვილად შევძელი ჩემი ფულის გამოტანა. თავიდან 10 ლარის გამოტანას ვგეგმავდი, მაგრამ შემდეგ, გადავიფიქრე, და 20 ლარი გამოვიტანე. როცა ბოლოსდაბოლოს სახლში დავბრუნდი, დედა გაბრაზებული დამხვდა, რატომ დაიგვიანეო. მკითხა, თუ სად იყო შოკოლადის ორცხობილა. უცებ მივხვდი, რომ ორცხობილა სასუსნავების მაღაზიაში დამრჩა! მომიწია სირბილით უკან დაბრუნება! როცა სახლში დავბრუნდი, ჩემი დეიდაშვილები უკვე წასულები დამხვდნენ. დედა ასეთი გაბრაზებული არასდროს მინახავს! მისთვის თავი რომ ამერიდებინა, ჩუმად შევედი ჩემს ოთახში და საშინაო დავალებების მომზადება დავიწყე. საღამოსკენ სამზარეულოში შევედი და ჩემი ნაყიდი ორცხობილა გავსინჯე – ძალიანაც გემრიელი აღმოჩნდა!

დღეს გიო სკოლაში ახალი ქუდით მოვიდა. დათამ გიოს დასცინა და უთხრა, რომ ამ ქუდში 9 წლის ბავშვს ჰგავს. გიომ დათას არაფერი უპასუხა. ამ ბოლო დროს, დათა დათრგუნული ჩანს და ვცდილობთ, არ გავაღიზიანოთ. სკოლის შემდეგ, დათამ შემოგვთავაზა, ავტობუსით ქალაქის ცენტრში წავიდეთ და ბოულინგი ვითამაშოთო. როდესაც ავტობუსიდან ჩამოვდიოდით, აღმოვაჩინე, რომ ნაღდი ფული სახლში დამრჩენია! მსოფლიოში ყველაზე დიდი იდიოტი ვარ! მომიწია ბანკომატიდან კიდევ 15 ლარის გამოტანა! ნელ–ნელა ვხვდები, რომ ამდენ ფულს არ უნდა ვხარჯავდე! მგონი დროა ფულის გონივრულად მართვა დავიწყო. ზაფხულში დროებითი სამუშაო მქონდა და ცოტა ფულის დაგროვება შევძელი. ამასთან, შაბათობით ავტო–სამრეცხაოში ვმუშაობ და მცირე, მაგრამ ჩემი საკუთარი შემოსავალიც მაქვს. ამ დღეებში ვეცდები ნამდვილი ბიუჯეტი შევადგინო – იქნებ ამ გზით ცოტა უფრო ჭკვიანურად ვმართო საკუთარი ფინანსები!

დათას ზუსტად ისეთი ქუდი უყიდია, როგორც გიოს! სკოლაში ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი მომხდარა. რა თქმა უნდა, დავცინე, თუმცა ისეთი გაბრაზებული სახით შემომხედა, რომ ეგრევე გავჩუმდი.

შუადღეს შესვენებაზე დავინახე, რომ ანანო ელენეს და ნინის რაღაცას უყვებოდა. ძალიან დავინტერესდი: ნეტავ, იმ თაიგულის შესახებ უყვება, რომელიც იდუმალი თაყვანისმცემლისგან მიიღო?! იქნებ ყვავილებს მის სახლამდე ჯერ არ მიუღწევია? ანანომ ამოიხედა, შეამჩნია, რომ ვუყურებდი, და სახე მოეღუშა. ეს ელენემ და ნინიმაც შენიშნეს. თავის დაცვის მიზნით წავილუღლუღე, რომ მათ უკან მდგომ მოტოციკლს ვუყურებდი, მაგრამ ცხადია, ამჯერად მოტოციკლი მათ უკან აღარ იდგა – მხოლოდ ძველი, დაჟანგული ველოსიპედი. სამივე გაოცებული და დამცინავი სახით მიყურებდა – თავი იდიოტი მეგონა. სახლისკენ მიმავალ გზაზე სპორტული მაღაზიის ვიტრინაში პოსტერს მივაშტერდი: პოსტერზე ახალგაზრდა, სპორტული აღნაგობის ბიჭი კლდის თავზე იდგა და ჰორიზონტისკენ ხელს იშვერდა; თან თავდაჯერებული ღიმილი ჰქონდა. ნამდვილ მსახიობს ჰგავდა. ალბათ ძალიან სასაცილო ამბავს ყვებოდა, რადგან პოსტერზე გამოსახული ორი ლამაზი გოგო მას უყურებდა და იცინოდა. ბიჭს ღია მწვანე, ბზინვარე ბოტასები ეცვა. არ მიყვარს მწვანე ფერი, მაგრამ ასეთი მაგარი და განსაკუთრებული ბოტასები ჯერ არსად მინახავს! სანამ რაიმეს გავიაზრებდი, უკვე მაღაზიაში ვიყავი და ამ ბოტასებს ვიზომებდი. რომ ჩავიცვი, აღმოვაჩინე, რომ ძალიან არაკომფორტული იყო და თანაც აშკარად პატარა მქონდა. აღმოჩნდა, რომ მაღაზიაში დიდი ზომები არ ჰქონდათ, მაგრამ ჩავთვალე, რომ აუცილებლად უნდა მქონოდა ეს ბოტასები! რომ არ გადამეფიქრა, სასწრაფოდ შევიძინე ბოტასები ჩემი ბარათით. სახლში ბოტასები ქაღალდის პარკით წავიღე, რომ დედას ან და–ძმას არ შეემჩნიათ. სახლში რომ მივედი, დედამ მაინც მკითხა, პარკში რა გაქვსო. ვუთხარი, რომ სკოლისთვის წიგნები ვიყიდე და სასწრაფოდ ჩემს ოთახში შევვარდი. ბოტასების ყუთი ლოგინის ქვეშ დავმალე და თავი ეგრევე ნამდვილ იდიოტად ვიგრძენი. რატომ ავყევი რეკლამას ასე მარტივად? მე ხომ ბიუჯეტის შედგენას ვაპირებდი? ჭკუას ვერასოდეს ვისწავლი? ეხლა უკვე მართლა ძალიან ვღელავ, რომ ბევრად მეტს ვხარჯავ, ვიდრე უნდა ვხარჯავდე! მორჩა, მეტს აღარ დავხარჯავ!

გუშინდელი დღე ისეთი მოსაწყენი იყო, რომ დღიურშიც კი არაფერი ჩამიწერია. სამაგიეროდ, დღეს ჩემი დაბადების დღეა! ჩემმა უფროსმა დამ, სოფომ, ბათუმიდან მისალოცი ბარათი გამომიგზავნა, სადაც მიუთითა, რომ ფულსაც მიგზავნიდა. ძალიან გამეხარდა, მაგრამ კონვერტში ფული ვერ ვიპოვე. იატაკზე დავიწყე ძებნა – იქნებ, დამივარდათქო – მაგრამ შოკოლადის ორცხობილის ნამცეცების გარდა ვერაფერი ვიპოვე. ამ დროს დედა შემოვიდა სამზარეულოში და მკითხა, თუ რატომ ვხოხავდი იატაკზე. ავუხსენი, რომ სოფომ ბათუმიდან ფული გამომიგზავნა, მაგრამ ფული დაიკარგა! დედამ მითხრა, რომ ნაღდი ფულის გამოგზავნის ნაცვლად, სოფომ ფული ალბათ საბანკო ანგარიშზე ელექტრონულად გადმომირიცხა. დედა დამეხმარა ინტერნეტში ჩემი ანგარიშის შემოწმებაში და ფულსაც მივაგენით! სოფოს ჩემთვის ანგარიშზე 100 ლარი ჩაურიცხავს! სოფო, ძალიან მიყვარხარ! სასწრაფოდ გავიქეცი და გიოსნაირი ქუდი ვიყიდე – გიოს და დათას უნდა დავცინო, ძალიან სასაცილო იქნება! შემდეგ კი ფეხბურთის მოედანზე გავეშურე, სადაც გიოს და დათას შევხვდი. გიომ რომ დამინახა, გაკვირვებულმა წამოიძახა: „შენც ჩემნაირი ქუდი გაქვს?“ მე დათას გავხედე, ვიფიქრე გაიცინებდა, მაგრამ დათამ, როგორც ჩვევია, ორივეს შემოგვიბღვირა. არ გამომივიდა ხუმრობა. დავიწყეთ ფეხბურთის თამაში და მთელი საღამოს განმავლობაში ერთმანეთისთვის ხმა აღარ გაგვიცია.

მძულს ორშაბათი დღე! სკოლაში ვბრუნდები ჩემს ცხოვრებაში ალბათ ყველაზე უიღბლო შაბათ–კვირის შემდეგ. იმდენად უსიამოვნო დღეები იყო, რომ მოყოლაც არ მინდა. საიდან დავიწყო? შაბათი, 15 იანვარი, სკოლის წვეულების დღე იყო. მთელი დღის განმავლობაში, სანამ ავტოსამრეცხაოში ვმუშაობდი, წვეულებაზე ვფიქრობდი. სახლიდან წვეულებაზე ფეხით წავედი, რაც ძალიან გამიჭირდა, რადგან ახალი ბოტასები პირველად მეცვა, და ძალიან მიჭერდა. ბოტასი იმდენად უხეში აღმოჩნდა, რომ შეუძლებელი იყო ნაბიჯის გადადგმა – მეგონა, რომ რკინის ფეხსაცმელი მეცვა! რობოტივით დავდიოდი – ოღონდ, ჟანგიანი რობოტივით. ძალიან მტკიოდა ფეხები! ელენემ და ნინიმ როგორც კი დამინახეს, მკითხეს, მოტოციკლს ხომ არ ეძებო, და ხარხარი ატეხეს. მადლობა ღმერთს, ბოტასებზე მაინც არ დამცინეს! ჩემი ბოტასები ფოსფორისფრად ანათებს, და ყველას ყურადღებას იქცევს! თითქმის მთელი საღამოს განმავლობაში ვიჯექი და სხვების ცეკვას ვუყურებდი – მე თვითონ ვერ მოძრაობდი. ანანოს ვაკვირდებოდი, და ვცდილობდი გამბედაობა მომეკრიბა, რომ გამოვლაპარაკებოდი. წვეულების დამთავრებამდე 10 წუთით ადრე, როგორც იქნა, მივედი ანანოსთან და ვთხოვე, ჩემთან ეცეკვა. ანანომ გამიღიმა და გამომყვა. ისე ვნერვიულობდი, მეგონა, დრო გაჩერდა. ბოლო სიმღერას ძალიან სწრაფი რითმი ჰქონდა. ახალ ბოტასებში ფეხები ისე მტკიოდა, რომ ცეკვის მაგივრად დავხტოდი. გიო და დათა მთელი გულით დამცინოდნენ. სანამ დავიშლებოდით, ანანომ გამიცინა და მითხრა: „რა მაგარი მოცეკვავე ყოფილხარ!“

კვირას მე და დედა სტუმრად ბაბუასთან და ბებიასთან, სოფელში წავედით. ბაბუამ მთხოვა, ბაღის მოვლაში დავხმარებოდი. უარი ვერ ვუთხარი, და ოთხი საათის განმავლობაში ბაღში ვმუშაობდით. დღეს კი საინტერესო არაფერი მომხდარა. საღამოს, ჩემი პატარა და ახალ პიცერიაში წავიყვანე, რომელიც ჩვენს სახლთან გაიხსნა. პიცის საფასური ჩემი ბარათით გადავიხადე. რა სასიამოვნოა, როცა ნორმალური ფეხსაცმელები გაცვია!

დღეს, ისტორიის გაკვეთილზე, მასწავლებელმა შოტლანდიელი მეფის, რობერტ I-ის შესახებ მოგვიყვა. შოტლანდიასა და ინგლისს შორის ომის დროს, ერთ–ერთ ბრძოლაში დამარცხების შემდეგ, რობერტ I–ს გაქცევა და გამოქვაბულში დამალვა მოუწია. გამოქვაბულში შოტლანდიის მეფემ პატარა ობობა დაინახა, რომელიც აბლაბუდის ქსელის გაბმას ცდილობდა, თუმცა არ გამოსდიოდა; ობობას ქსელი წყდებოდა. მიუხედავად ამისა, ობობა არ დანებდა და მრავალი მცდელობის შემდეგ მოახერხა ლამაზი აბლაბუდის ქსელის გაბმა. ობობას გამტანობით შთაგონებულმა მეფემ ფიცი დადო, რომ მანამ არ შეწყვეტდა ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლას, სანამ არ დაამარცხებდა. დრო გამოხდა და რობერტ I-მა მართლაც დაამარცხა ინგლისელები.

შუადღეს, მე დათა და გიო ავტობუსით მცხეთაში წავედით იქაური გუნდის წინააღმდეგ ფეხბურთის სათამაშოდ. სამწუხაროდ, 4–0 წავაგეთ. თბილისში დაბრუნებული, სახლისკენ გზას ფეხით გავუყევი. შაბათი საღამოს იმედგაცრუების შედეგად, გული და ფეხები ჯერ კიდევ მტკიოდა. უეცრად, მუსიკალური მაღაზიის ვიტრინის წინაშე აღმოვჩნდი. უზარმაზარი პოსტერი 19 იანვრის როკ–ფესტივალს უკეთებდა რეკლამას. დავფიქრდი ანანოზე და ჩემს მორიდებულობაზე; ელენეს, ნინის, დათას და გიოს დაცინვაზე. მერე კი გამახსენდა რობერტ I–სა და ობობას ისტორია. სასწრაფოდ შევედი მაღაზიაში და ვიკითხე, ფესტივალის ბილეთები თუ ჰქონდათ დარჩენილი. აღმოჩნდა, რომ ბილეთები ჯერ კიდევ ჰქონდათ, და მე ორი ბილეთი ჩემი ბარათით ვიყიდე. გარეთ რომ გამოვედი, მობილური ტელეფონით ანანოს დავურეკე (ანანოს ნომერი რამდენიმე კვირის წინ ელენეს გამოვართვი, სანაცვლოდ კი შოკოლადი მივეცი და მათემატიკის დავალება გადავაწერინე). როგორც კი ანანომ მიპასუხა, ეგრევე ვახალე: „თორნიკე ვარ. ორი ბილეთი მაქვს ოთხშაბათის როკ–ფესტივალზე. წამოხვალ ჩემთან ერთად?“ ცოტა ხანი ტელეფონში სიჩუმე იყო. მომეჩვენა, რომ ეს სიჩუმე საუკუნემდე გაიწელა! ანანომ როგორც იქნა მიპასუხა: „კი“. ისე მიხაროდა, რომ სულ დამავიწყდა ფეხბურთში სამარცხვინო წაგება და სახლში სირბილით წავედი. გზად ბანკომატიდან 10 ლარი გამოვიტანე, რომ ფესტივალზე ანანოსთვის ლიმონათი მეყიდა. მიუხედავად აღტაცებისა, კარგად ვხვდებოდი, რომ ძალიან ბევრ ფულს ვხარჯავდი! თუ ასე გავაგრძელებ, საერთოდ ამოვწურავ ჩემს დანაზოგს! გადაწყვეტილია: აუცილებლად უნდა შევადგინო ბიუჯეტი!

რა მაგარი საღამო იყო! 5 წუთის წინ დავბრუნდი ფესტივალიდან, რომელიც ძალიან მომეწონა! რა თქმა უნდა, ყველაფერს მარტივად არ ჩაუვლია: სახლიდან რომ გამოვედი და ავტობუსში ჩავჯექი, მივხვდი, რომ მე და ანანო არ შევთანხმებულვართ, თუ სად შევხვდებოდით! სასწრაფოდ ამოვიღე ჯიბიდან ტელეფონი და ვცადე ანანოსთან დარეკვა, მაგრამ აღმოვაჩინე, რომ ანგარიშზე თანხა აღარ მქონდა. საკუთარი თავის მიკვირს: ხომ შეიძლება ოდესმე რამე დავგეგმო?!!! როგორც კი ავტობუსიდან ჩამოვედი, სასწრაფოდ მივედი „საქართველოს ქსელების“ მაღაზიაში და ანგარიშზე 5 ლარი ჩავრიცხე. ანანომ ეგრევე მიპასუხა, როგორც კი დავურეკე, და შეხვედრის ადგილზე შევთანხმდით.

მე ყველაზე იღბლიანი ადამიანი ვარ მთელს თბილისში! გაკვეთილების შემდეგ, ანანომ შემომთავაზა ბურგერ–ბარში მასთან ერთად წასვლა, სადაც სულ 2 საათი დავყავით. ანანომ საკუთარი ბურგერის სანაცვლოდ გადაიხადა, ხოლო მე ჩემი ბურგერის საფასური ჩემი გასაცოდავებული ბარათით დავფარე. ანანომ შაბათს თავის მეგობრებთან ერთად პარკში გასეირნება შემომთავაზა. სანამ ერთმანეთს დავემშვიდობებოდით, მთხოვა ჩემი ახალი, ბრჭყვიალა ბოტასები აღარ ჩამეცვა.

დღეს შაბათია და ავტოსამრეცხაოსკენ ავტობუსით წავედი. სამსახურში შემდეგ, ბანკომატიდან 15 ლარი გამოვიტანე, წიგნის მაღაზიაში შევედი და ბლოკნოტი და კალკულატორი ვიყიდე. ახლა მაგიდასთან ვზივარ და შემდეგი 2 თვისთვის ბიუჯეტს ვადგენ. რადგანაც ანანოსთან მეტი დროის გატარებას ვაპირებ, მინდა დავრწმუნდე, რომ ჩემს ფინანსებს სათანადოდ ვანაწილებ: ვაპირებ დანაზოგის ნაწილი ვადიან დეპოზიტზე განვათავსო, რათა ვერ შევძლო ფულის უმიზეზოდ დახარჯვა, ხოლო მეორე ნაწილი – მიმდინარე ანგარიშზე, რათა ყოველდღიური ხარჯები დავფარო და ანანოსთან ერთად ხანდახან კინოსა და ბოულინგზე ვიარო ხოლმე.